განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 31.08.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 04.10.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ტურიზმი / Tourism**
უმაღლესი განათლების საფეხური	(ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში / Bachelor of Business Administration in Tourism
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება / Travel, Tourism and Leisure
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი პროგრამა

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვალერი არღუთაშვილი, სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა მესხი, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის მიღების მიზნით წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ საფუძველზე. მისი ძირითადი მასხიათებლებია:

- ✓ სწავლების ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი);
- ✓ პროგრამის მოცულობა: 240 ECTS-ის კრედიტი. ერთი კრედიტი უდრის 25 სთ-ს. თითოეულ სემესტრში სტუდენტის დატვირთვა შეადგენს 30 კრედიტს;

პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები: პროგრამის სტრუქტურა აერთიანებს თავისუფალ (48 კრედიტი) და სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტებს (192 კრედიტი). ორივე კომპონენტი მოიცავს არჩევით და სავალდებულო ნაწილს. სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტში მოიაზრება სასწავლო კურსები (სავალდებულო და არჩევითი), პრაქტიკა (სავალდებულო) და საბაკალავრო ნაშრომი (სავალდებულო).

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 2 22 0000909825, 16/08/2022) საფუძველზე შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) მიერ, მიმდინარე წლის 31 აგვისტოს ადგილზე ვიზიტის საფუძველზე. ვიზიტამდე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის ორგანიზებით დაიგეგმა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა, რომელიც ჩატარდა მიმდინარე წლის 30 აგვისტოს Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით, აკრედიტაციის ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს გააცნეს დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშისა და მის დანართებად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე მიღებული მოსაზრებები, გაცვალეს ინფორმაცია, შეადგინეს კითხვების ჩამონათვალი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებაში ვიზიტი შედგა ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით. შეხვედრა დაიწყო 10:00სთ. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დამატებით დოკუმენტაციას, რაც გამოთხოვილ იქნა ადგილზე. აკრედიტაციის ვიზიტის დღის წესრიგის დაცვით, სრული თანმიმდევრობით ჩატარდა შეხვედრა თითოეული სესიის წარმომადგენელთან, სესიების ნაწილი მიმდინარეობდა ჰიბრიდულ რეჟიმში (სესიებში მონაწილე რამდენიმე პირი ჩაერთო Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით). დაწესებულების მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა იმ რესურსს, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- ✓ <u>სტანდარტი 1</u> და ქვესტანდარტი 1.2. შეფასდა, როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ქვესტანდარტი 1.1. შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
- ✓ <u>სტანდარტი 2</u> - შეფასდა, როგორც <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (2.1, 2.4, 2.5 და 2.6 ქვესტანდარტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.2 და 2.3 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- ✓ <u>სტანდარტი 3</u> და ქვესტანდარტი 3.1. შეფასდა, როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ქვესტანდარტი</u> 3.2 არ შეფასდა, რადგან აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამა არის ბაკალავრიატის საფეხურის.
- ✓ <u>სტანდარტი 4</u> - შეფასდა, როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (4.1, ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 4.2, 4.3 და 4.4 ქვესტანდარტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- ✓ <u>სტანდარტი 5</u> - შეფასდა, როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (5.2 და 5.3. ქვესტანდარტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.1 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- ✓ რეკომენდებულია „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების (1,2,3,) მოდიფიცირება და აკრედიტაციის სტანდარტი 1. ქვესტანდარტი 1.1. კრიტერიუმების მიხედვით ფორმულირება - ,,პროგრამის მიზანი ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ის უნდა იყოს რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი”.
- ✓ რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში სავალდებულო სასწავლო კურსები (ტურიზმის საფუძვლები, ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების საფუძვლები, პროექტის მართვა, შესავალი კვლევის მეთოდებში, ტურიზმის სტატისტიკა) განაწილდეს იერარქიული საფეხურების დაცვით, სემესტრების მიხედვით ლოგიკურად და თანმიმდევრულად.
- ✓ რეკომენდებულია სასწავლო კურსებზე (ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება, სასტუმროს და რესტორნის მენეჯმენტი, ბიზნეს ტურიზმი, გიდის ხელოვნება, ტურიზმის სტატისტიკა, რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოების მართვა ტურიზმში, შესავალი კვლევის მეთოდებში, ღვინის ტურიზმი, რელიგიური ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, საერთაშორისო ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა, გასტრონომიული ტურიზმი, სამუზეუმო ხელოვნება, ბრენდის მართვა, უცხო ენა (ქართული, ჩინური, რუსული, თურქული, გერმანული) 2, 3, 4 ნაწილი. გათვალისწინებული იქნას დაშვების წინაპირობები.
- ✓ რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში არ იქნას გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კურსი - დარგობრივი უცხო ენა (ინგლისური) ტურიზმისათვის, რადგან ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენა არის ინგლისური (ინგლისური სექტორი).
- ✓ რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში (მარკეტინგის საფუძვლები, ტურიზმის მარკეტინგი, სასტუმროს და რესტორნების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში, რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოების მართვა ტურიზმში, ლიდერობა) წარმოდგენილი სასწავლო მასალა/საკითხთა ჩამონათვალი/შინაარსი დაკორექტირდეს და/ან შეიცვალოს სახელმძღვანელო და სასწავლო კურსების სილაბუსები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან.

- ✓ ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის რეკომენდებულია უსდ-ს მიერ დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე აკადემიური/მოწვეული/ პერსონალის უზრუნველყოფა
- ✓ რეკომენდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს კონტროლი პროგრამის შეფასების ყველა ეტაპზე (შემუშავება, განხორციელება) და მოახდინოს შემოწმების შედეგების ერთობლივად განხილვა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს გასაუმჯობესებელი გარემოებების/ხარვეზების დროულად გამოვლენასა და აღმოფხვრას.
- ✓ აუცილებელია დაკორექტირდეს დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასება (პირდაპირი მეთოდი)“ არსებული ხარვეზი - ნაცვლად პროგრამის ყველა შედეგთან შეფასების ინსტრუმენტებში მითითებული სწავლა-სწავლების მეთოდებისა მიეთითოს შეფასების ის მეთოდები/ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ შედეგის მიღწევის დადასტურებას და გაზომვას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან სწორად და ნათლად აისახოს ,,პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე”.
- ✓ სასურველია პლათფორმაზე gttu.edu.ge-ზე აისახოს ინფორმაცია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის შესახებ მაგ: განთავსდეს ინფორმაცია საკონსულტაციო დღისა და დროის შესახებ, ასევე გაკეთდეს სამსახურის ფუნქციის მოკლე აღწერილობა და ა.შ.
- ✓ მიზანშეწონილია დაწესებულებამ დროულად განახორციელოს საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეული მექანიზმის დანერგვა - საერთაშორისო ექსპერტებისა და პროფესორების ჩართულობით პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებას და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას.
- ✓ სასურველია ინგლისურენოვანი ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განსახორციელებლად უსდ-მ პრაქტიკაში დანერგოს უცხოელი დარგის სპეციალისტების (დარგის შესაბამისი კვალიფიკაციით და გამოცდილებით) მოწვევა.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, ბიზნესის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო ინგლისურენოვან პროგრამის დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის უკუკავშირი:

დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას (No1141838, 22.09.2022) გაეცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დასტურდება, რომ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო ინგლისურენოვან პროგრამის დასკვნის პროექტში ასახული რეკომენდაციების ან რჩევების ნაწილი დაწესებულების მიერ გაზიარებულია, პროგრამაში/კურიკულუმში აისახა ცვლილებები, თუმცა, ამავდროულად დაწესებულება არ იზიარებს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის დასკვნის პროექტში ასახულ რეკომენდაციების და რჩევების გარკვეულ ნაწილს. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი არგუმენტები, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული რეკომენდაცია და რჩევა მიმართულია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის წარმატებული განხორციელება-განვითარებისათვის და მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სათანადო რეაგირება. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, შემდეგ სტანდარტებთან (რეკომენდაციები/რჩევები) მიმართებით, კერძოდ:

- ✓ **სტანდარტი 1. ქვე-სტანდარტი 1.1.**

- ✓ **სტანდარტი 2. ქვე-სტანდარტები 2.2. 2.3.**
- ✓ **სტანდარტი 4. ქვე-სტანდარტები 4.1.**
- ✓ **სტანდარტი 5. ქვე-სტანდარტები 5.1**

შენიშვნა: დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში ხაზგასმით არის მინიშნება, რომ მეშვიდე და მერვე რეკომენდაცია და მესამე და მეოთხე რჩევა მსგავსია, იდენტური შინაარსის და ხასიათისაა, თუმცა, ექსპერთა ჯგუფის მიერ დასტურდება, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები არ მეორდება, კერძოდ:

1. ეჭვქვეშ არ დგას ისეთი დოკუმენტის არსებობა, როგორიცაა „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია“. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ აღნიშნული დოკუმენტი მითითებულია დასკვნის პროექტში მტკიცებულებების ნაწილში (იხ. 5.1 და 5.3 კომპონენტები).

2. გაცემული რეკომენდაცია ეხება არა არსებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის არასაკმარისობას/სრულყოფის საჭიროებას, არამედ უშუალოდ პროგრამის დანართს (იხ. დანართი #3), სადაც რუბრიკაში „შეფასების ინსტრუმენტები“ მითითებულია სწავლის მეთოდები (მაგ., ლექცია; პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფში მუშაობა; დამოუკიდებელი მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სამუშაო; ლექცია- ვიზუალიზაცია; დისკუსია; გონებრივი იერიში; ქეის-მეთოდი). შესაბამისი ცვლილებების გარეშე ეს დოკუმენტი ვერ უზრუნველყოფს იმ მიზანს, რა მიზნითაც არის შემუშავებული.

3. დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის (სადაც რუბრიკაში „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“ მითითებულია არა სწავლების, არამედ შეფასების მეთოდები) გამოყენებასა და მის საფუძველზე შემუშავებულ დოკუმენტზე კონტროლის შემთხვევაში გამოირიცხებოდა ის შეუსაბამობა, რომელიც გახდა დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაციების საფუძველი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და უცვლელად დატოვა დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაციები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის კორექტირების, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კონტროლისა და პროგრამის პერსონალთან პროგრამის შეფასების შედეგების ერთობლივად განხილვის საჭიროების შესახებ, მეტი სიცხადისთვის კი შესაბამის რეკომენდაციაში მიუთითა თუ რომელ დოკუმენტზეა საუბარი.

ასევე, **რჩევა #3** ითვალისწინებს ,,საერთაშორისო ექსპერტებისა და პროფესორების ჩართულობით პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების განვითარებას" მაშინ, როცა **რჩევა #4** გულისხმობს ,,სასწავლო კურსების განსახორციელებლად უცხოელი დარგის სპეციალისტების (დარგის შესაბამისი კვალიფიკაციით და გამოცდილებით) მოწვევას". შესაბამისად **რჩევა #3** და **რჩევა #4** სხვადასხვაა და არა იდენტური შინაარსის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის დაწესებულების ბაზაზე ფუნქციონირებს ,,ტურიზმის ლაბორატორია", რაც სტუდენტებისთვის არის შესაძლებლობა წარმატებით განახორციელონ პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები/ღონისძიებები .

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  -

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ ჩატარებული „ტურიზმის შრომის ბაზრის კვლევა"-ს დოკუმენტი დაედო საფუძვლად ინგლისურენოვანი „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, აღნიშნული კვლევის მიზანი იყო: „საქართველოს ტურიზმის სექტორში შრომის ბაზრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების (ცოდნა-გაცნობიერება, უნარი, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა) განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება ახალი საგანმანათლებლო, საბაკალავრო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მიზნით, რათა მოხდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების ზრდა". პროგრამის შემუშავებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მისია, მიზნები და სამომავლო ხედვა და ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მოთხოვნები, შესაბამისად პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა 4 ძირითად პუნქტად, კერძოდ: 1. შესძინოს სტუდენტს ტურიზმის დარგის თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნულ მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებული ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; 2. გაარკვიოს სტუდენტი ტურისტული ინდუსტრიის მმართველობით და დარგობრივ სტრუქტურაში, შეასწავლოს მათ ტურისტული ბაზრის სამომხმარებლო ღირებულებების ფორმირების მექანიზმი, ტურისტული ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობა და მდგრადი განვითარების ტენდენციები/პერსპექტივები; 3. კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვით გამოუმუშაოს სტუდენტს ბუნებრივ-ეკოლოგიური, ისტორიული, მულტიკულტურული ღირებულებები და ფასეულობები. 4. ტურიზმის ტრენდებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, გამოუმუშაოს პროფესიული განვითარების, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი და ჩამოაყალიბოს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კონკურენტუნარიან კადრად. აკრედიტაციის სტანდარტი 1. ქვესტანდარტი 1.1.-ის თანახმად, „პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში". აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა, ცხადია, ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა ენობრივი კომპეტენციის გაძლიერება, პროგრამის მრავალფეროვანი პრაქტიკული კომპონენტით უზრუნველყოფა, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება და ა.შ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში წარმოდგენილი მიზნების (1,2,3) „გარკვეული ნაწილი" შინაარსობრივად არ არის გამართული და საჭიროებს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით ფორმულირებას/მოდიფიცირებას, პროგრამის მიზნები ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ის უნდა იყოს რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ დაწესებულების ვებგვერდი: http://www.gttu.edu.ge/ge/about-us/university-mission/misia ○ შრომის ბაზრის კვლევა;

○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების (1,2,3 - გარკვეული ნაწილის) მოდიფიცირება და აკრედიტაციის სტანდარტი 1. ქვესტანდარტი 1.1. კრიტერიუმების მიხედვით ფორმულირება - „პროგრამის მიზანი ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ის უნდა იყოს რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი”.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ეყრდნობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და შესაბამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს, პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი და კურსდამთავრებული (ქართულენოვანი ანალოგი პროგრამის), დამსაქმებელი. დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რაც დასტურდება დოკუმენტით: „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია”. დაწესებულებაში მოქმედი წესის თანახმად, სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, ხდება სწავლის შედეგების შეფასების ყოველსემესტრული/წლიური მონიტორინგი სასწავლო კურსების მიხედვით. პროგრამის 8 შედეგი წარმოდგენილია „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“, „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა” კომპეტენციების ჭრილში, კერძოდ: <u>ცოდნა და გაცნობიერება:</u> 1. **განმარტავს** ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნესისა და მენეჯმენტის პრინციპებსა და ადმინისტრირების ფორმებს, სტრატეგიული მართვის სპეციფიკურ მეთოდებს/ხერხებს, ადამიანური რესურსების საქმიანობის სპეციფიკას, ბიზნეს გარემოს მახასიათებლებს, ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ისტორიულ და ეკოლოგიურ საკითხებს; 2. **აღწერს** ტურიზმის, როგორც ბიზნესის სწრაფად განვითარებადი დარგის თეორიულ საფუძვლებს, ტურისტული ინდუსტრიის როლსა და მნიშვნელობას გლობალურ და ეროვნულ ასპექტებში, სტრატეგიული და ოპერაციათა მენეჯმენტის, რისკების და უსაფრთხოების ინსტრუმენტებისა და ტექნო-

ლოგიის გამოყენებით;

<u>უნარი:</u>

3. **აანალიზებს** ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს, ტრანსპორტის, განთავსებისა და კვების ინდუსტრიის მომსახურების სახეების კლასიფიკაციას, ეფექტიანი ფუნქციონირების თანამედროვე მიდგომებს, გიდის ხელოვნებას და მომსახურების სპეციალურ პროგრამებსა და ტექნოლოგიებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
4. **აფასებს** მისი კომპეტენციის ფარგლებში ტუროპერატორის მართვის ძირითად ასპექტებს და ტურის ფორმირების ინსტრუმენტებს, ტურიზმის სხვადასხვა სახეებს, მათ შორის კულტურულ და ბიზნეს ტურებს;
5. **იყენებს** ტურიზმის მარკეტინგის ინსტრუმენტებსა და ტექნიკებს, ტურისტული ბაზრის სტრატეგიების, ტურისტული პროდუქტების დაგეგმვის, შემუშავებისა და რეალიზაციისათვის;
6. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ტურიზმის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით **შეიმუშავებს** ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებებით კვლევითი, პრაქტიკული ხასიათის პროექტს და/ან ღონისძიებას;
7. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო არხებისა და დაჯავშნის სისტემების გამოყენებით, **ამუშავებს** ტურისტულ პროდუქტს, ზეპირი და/ან წერილობითი კომუნიკაციის საშუალებით, დარგობრივ უცხო ენაზე;

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</u>

8. **ზრუნავს** საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებით, კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვით.

ტურიზმის პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა მიზნებთან სასურველია წარმოდგენილი იყოს ნათლად და სწორად აისახოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

○

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან სწორად და ნათლად აისახოს „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე".

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო				

პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ასახულია პროგრამის კურიკულუმში და დაწესებულების ვებგვერდზე http://www.gttu.edu.ge/ge/about-us/legal-directory/debulebebi-instruqtsiebi განთავსებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში". პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე ჩართვას. კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ:

- ✓ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების (ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა (ინგლისური); არჩევითი-სავალდებულო საგნებიდან ერთერთი (ან გეოგრაფია, ან ისტორია ან მათემატიკა) შედეგების (ინგლისურ ენაში მინიმუმ 60 ქულის მიღების) საფუძველზე.
- ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 52).
- ✓ პროგრამაზე სწავლის აუცილებელი წინაპირობაა B2 დონის ფლობა ინგლისურ ენაში, რომელიც შეიძლება დადასტურედეს შესაბამისი ცოდნის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები და/ან სასწავლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირებით ინგლისურ ენაში (დამადასტურებელ დოკუმენტებში მოიაზრება: ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველისთვის პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით მიიღება ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი (CEFR B2, IELTS exam – 5 BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam – FCE; Pritman ESOL International; TOEIC – 600; TOEFL – 510 (paper - based) 173 (computer - based) 61 (internet – based/ -).
- ✓ სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია დაწესებულებას წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვედებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამდადასტურებელი დოკუმენტი.
- ✓ პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების დაცვით.
- ✓ პროგრამაზე ჩარიცხვა, უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია, განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე http://www.gttu.edu.ge/ge/admissions/admission/enrollment

და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ დაწესებულების ვებგვერდი: http://www.gttu.edu.ge ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის (მეთოდოლოგიის) გამოყენებით. პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტებით: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები, თავისუფალი კომპონენტი კი წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით: პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და მოიცავს 240 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მი-

ღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამაში (სასწავლო გეგმა) სასწავლო კურსები არ არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; დარღვეულია სასწავლო კურსების სემესტრებად განაწილების იერარქიული საფეხურები, ეს ეხება შემდეგ სასწავლო კურსებს: „ტურიზმის საფუძვლები“ - 3 სემესტრი, „ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება“ - 5 სემესტრი, „ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების საფუძვლები“ - 7 სემესტრი, „პროექტის მართვა“ - 5 სემესტრი, „შესავალი კვლევის მეთოდებში“ - 7 სემესტრი, „ტურიზმის სტატისტიკა“ - 4 სემესტრი. ასევე, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილ სასწავლო კურსებს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ან არ აქვთ განსაზღვრული ან არ არის ადეკვატური ან საჭიროებს დამატებით კურსზე დაშვების წინაპირობას, ასეთი სასწავლო კურსებია: „ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება“, „სასტუმროს და რესტორნის მენეჯმენტი“, „ბიზნეს ტურიზმი“, „გიდის ხელოვნება“, „ტურიზმის სტატისტიკა“, „რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოების მართვა ტურიზმში“, „შესავალი კვლევის მეთოდებში“, „ღვინის ტურიზმი“, „რელიგიური ტურიზმი“, „სათავგადასავლო ტურიზმი“, „სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი“, „საერთაშორისო ტურიზმი“, „აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა“, „გასტრონომიული ტურიზმი“, „სამუზეუმო ხელოვნება“, „ბრენდის მართვა“, „უცხო ენა (ქართული, ჩინური, რუსული, თურქული, გერმანული)“ 2, 3, 4 ნაწილი. შესაბამისად, აუცილებელია აკრედიტაციის სტანდარტი 2. ქვესტანდარტი 2.2. კრიტერიუმის გათვალისწინება: „პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური”.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: პროგრამის კურიკულუმი; სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში სავალდებულო სასწავლო კურსები (ტურიზმის საფუძვლები, ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების საფუძვლები, პროექტის მართვა, შესავალი კვლევის მეთოდებში, ტურიზმის სტატისტიკა) განაწილდეს იერარქიული საფეხურების დაცვით, სემესტრების მიხედვით ლოგიკურად და თანმიმდევრულად.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებზე (ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება, სასტუმროს და რესტორნის მენეჯმენტი, ბიზნეს ტურიზმი, გიდის ხელოვნება, ტურიზმის სტატისტიკა, რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოების მართვა ტურიზმში, შესავალი კვლევის მეთოდებში, ღვინის ტურიზმი, რელიგიური ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, საერთაშორისო ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა, გასტრონომიული ტურიზმი, სამუზეუმო ხელოვნება, ბრენდის მართვა, უცხო ენა (ქართული, ჩინური, რუსული, თურქული, გერმანული) 2, 3, 4 ნაწილი. გათვალისწინებული იქნას დაშვების წინაპირობები.
- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში არ იქნას გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კურსი - დარგობრივი უცხო ენა ტურიზმისათვის (ინგლისური), რადგან ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენა არის ინგლისური (ინგლისური სექტორი).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსისთვის/პროგრამის სხვა კომპონენტებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება მათ შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თუმცა, გარკვეული სასწავლო კურსების შინაარსი საჭიროებს მოდიფიცირებას, კერძოდ: სასწავლო კურსების: „მარკეტინგის საფუძვლები" და „ტურიზმის მარკეტინგი" სილაბუსებში წარმოდგენილი საკითხები/შინაარსი იდენტურია, შეიმჩნევა საკითხების გადაფარვა. სასწავლო კურსი: „სასტუმროს და რესტორნების მენეჯმენტი" წარმოდგენილია 2 ინტეგრირებული საგნით: „სასტუმროს მენეჯმენტი და რესტორნების მენეჯმენტი", სილაბუსის შინაარსი ასახავს მხოლოდ იმ საკითხებს, როგორიცაა: სასტუმროს/რესტორნის პროექტირების დაწყების ეტაპები, რესტორნისა და სასტუმროს მშენებლობა, სასტუმროს და რესტორნის სივრცითი მოწყობა და დიზაინი. სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში" განიხილავს მხოლოდ ტურისტულ კომპანიებს, „რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოების მართვა ტურიზმში" სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი თემატიკა და საკითხთა ჩამონათვალი ბუნდოვანია, კერძოდ: „ბუნებრივი და ტექნოგენური კრიზისის მენეჯმენტი მცირე კუნძულის ტურისტულ დანიშნულებაზე: ბალის შემთხვევა, დაკარგული ბმული ბნელ ტურიზმსა და ტურიზმის მენეჯმენტს შორის, ტერიტორიული დინამიკა და გარემოსდაცვითი რისკები კოსტა ბრანკას სანაპიროზე, ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთი, სულიერი ტურიზმის გადასვლა: იმედის ეთოსი COVID-19 კრიზისის დროს ინდოეთის პერსპექტივიდან", სასწავლო კურსში „ლიდერობა" ძირითადი ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოს არათემატური სახელწოდებაა „არმიის ხელმძღვანელობა". კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ახალია, სასწავლო მასალა შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს, თუმცა ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებთან მიმართებით აუცილებელია სილაბუსებში თემატიკის/საკითხთა ჩამონათვალის კორექტირება/მოდიფიცირება და/ან სახელმძღვანელოების შეცვლა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ○ პროგრამის კურიკულუმი; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში (მარკეტინგის საფუძვლები, ტურიზმის მარკეტინგი, სასტუმროს და რესტორნების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში, რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოების მართვა ტურიზმში, ლიდერობა) წარმოდგენილი სასწავლო მასალა/საკითხთა ჩამონათვალი დაკორექტირდეს და/ან შეიცვალოს სახელმძღვანელო და სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსი/თემატიკა შეესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამა უზრუნველყოფს ტრანსფერული უნარების განვითარებას, რასაც ადასტურებს სასწავლო კურსებში ტრანსფერული უნარების ინტეგრირება.

დაწესებულებაში დანერგილია და მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი და პროფესიული პრაქტიკის განხორციელების წესი.

პროგრამის ფარგლებში სპეციფიკიდან გამომდინარე ჩაშლილია პრაქტიკული კომპონენტები. პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას 10 კრედიტის ოდენობით. პრაქტიკის კომპონენტი დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, მემორანდუმი ითვალისწინებს პრაქტიკის პროცესის ისეთ დეტალებს, როგორიცაა მხარეთა პასუხისმგებლობები, უფლება-მოვალეობები, სტუდენტთა რაოდენობა და სხვა. კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად დარდება ტარდება პრაქტიკული-სამეცნიერო კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ როგორც დაწესებულების, ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. დაწესებულების წარმომადგენლებმა, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა (ქართულენოვანი ანალოგი პროგრამის) ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: პროგრამის კურიკულუმი; სილაბუსები;
- ვებ-გვერდი http://www.gttu.edu.ge/ge/about-us/legal-directory/debulebebi-instruqtsiebi;
- სამეცნიერო ჟურნალი;
- საბაკალავროს ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- პრაქტიკის განხორციელების წესი;
- ინტერვიუს შედეგები მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები/აქტივობები არის მრავალფეროვანი (ლექცია; დისკუსია/დებატები; შემთხვევის ანალიზი (Case study); ანალიზის მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრაქტიკული მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი და ა.შ.). თითოეული შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლების მეთოდები შეირჩევა პროგრამის კომპონენტის განმახორციელებლის (სილაბუსის ავტორის) მიერ, შერჩეული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტის შესწავლას და სწავლის შედეგების (დარგობრივი და/ან ტრანსფერული კომპეტენციების) მიღწევას როგორც პროგრამის კომპონენტის, ისე მთლიანად პროგრამის დონეზე. სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები ასახულია პროგრამის შესაბამის კომპონენტების სილაბუსებში, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: პროგრამის კურიკულუმი; სილაბუსები; ▪ სწავლება-სწავლის მეთოდები/აქტივობები ▪ სილაბუსები ▪ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებ-

ლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთ-ხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების გადანაწილება და კომპონენტები განისაზღვრება კურსის ლექტორის მიერ საკუთარი შეხედულებებისა და კურსის საჭიროებიდან გამომდინარე. სტანდარტულად, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ხვედრითი წილი არის 70/30 ან 60/40.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა. მინიმალური კომპეტენციის ზღვრები გაწერილია სასწავლო კურსის/კომპონენტების სილაბუსებში. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტები სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე მეთოდები და კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში, ასევე სტუდენტი სწავლების დაწყებისთანავე ინფორმირებულია სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის შესახებ, რასაც ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების ადმინისტრაცია. ვიზიტის დროს, ზემოაღნიშნული დაადასტურეს როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა ასევე კურსდამთავრებულებმა. ინფორმაცია სასწავლო პროცესის, სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესის, გამოცდების ჩატარების წესის და სხვ. განთავსებულის დაწესებულების ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: პროგრამის კურიკულუმი; სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან.
- ვებგვერდი: http://www.gttu.edu.ge/ge/about-us/legal-directory/debulebebi-instruqtsiebi

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში მოქმედებს სტრუქტურული ერთეული სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური. სტუდენტური სერვისების ფარგლებში, ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა დეტალური ინფორმაცია, როგორც აკადემიური მიმართულებით, ისე კურიკულუმს გარეშე და სტუდენტური ცხოვრების აქტივობების ირგვლივ საჭირო საკითხების მიმართულებით. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისადა სხვა აქტივობების შესახებ. დაწესებულებაში სტუდენტი იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. ამ მიმართულებით დაწესებულებაში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო ტიპის შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან. დაწესებულებაში საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდება როგორც სემესტრის დასაწყისში, წინასწარ შემუშავებული გრაფიკით, ასევე ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე. საკონსულტაციო დღეების და საათების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაწესებულების პერსონალის მიერ ხორციელდება დროულად, დადგენილ ვადებში. საკონსულტაციო დატვირთვების მოცულობა და კვირეული განაწილება ასახულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის დოკუმენტებში. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები. დაწესებულებაში ტარდება დასაქმების ფორუმები, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ეძლევათ ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს და უცხოურ შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ, რათა, სურვილის შემთხვევაში მოხდეს სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმების მხრივ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ელექტრონული სწავლების პორტალი; ○ საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაობ აღწერილობები; ○ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პლათფორმაზე gttu.edu.ge-ზე აისახოს ინფორმაცია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის შესახებ მაგ.: განთავსდეს ინფორმაცია საკონსულტაციო დღისა და დროის შესახებ, ასევე გაკეთდეს სამსახურის ფუნქციის მოკლე აღწერილობა და ა.შ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი -
მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ახალია. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა პროგრამის განხორციელებაში ჩართულია - 39 პირი, აქედან - 19 აკადემიური პერსონალი და 20 მოწვეული. მათ შორის, პროფესორი - 7, ასოცირებული პროფესორი - 5, ასისტენტ-პროფესორი 7. სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 10. აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობას აქვს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისა და დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ,,გარკვეული ნაწილის" გამოცდილება და კვალიფიკაცია, მეტწილად შეესაბამება იმ სასწავლო კურსების მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის სტრუქტურაში (მათ ნაკლებად აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია), რიგ შემთხვევებში პერსონალის კვალიფიკაცია ვერ დასტურდება შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა; სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) და/ან პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, რაც დასტურდება მათთან ინტერვიუს შედეგად. პროგრამას ემსახურება 49 კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის ინგლისურენოვანი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ტურიზმის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ პროგრამის აღწერა. ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ○ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
რეკომენდაციები:

ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის რეკომენდებულია უსდ-ს მიერ დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე აკადემიური/მოწვეული/ პერსონალის უზრუნველყოფა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ინგლისურენოვანი ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განსახორციელებლად უსდ-მ პრაქტიკაში დანერგოს უცხოელი დარგის სპეციალისტების (დარგის შესაბამისი კვალიფიკაციით და გამოცდილებით) მოწვევა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს. დაწესებულებაში შემუშავებულია „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“, რომლის ძირითადი მიზანია დაწესებულების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, დაწესებულებაში სწავლისა და სწავლების დონის ხარისხის შეფასება, მათ შორის, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით. დაწესებულება შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს.

დაწესებულებაში აკადემიური პერსონალის განვითარების პროცესი ორი მიმართულებით ხორციელდება: სამეცნიერო და პედაგოგიური. აგრეთვე, დაწესებულებაში ფუნქციონერებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლების თანამშრომლობას უცხოურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან. დაწესებულების სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი გასცემს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და ატარებს ტრენინგებს დონორი ორგანიზაციებიდან სამეცნიერო პროექტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების დაფინანსების მოსაპოვებლად. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში, ისინი აქვეყნებენ სამეცნიერო პუბლიკაციებს რეფერირებად გამოცემებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;

- აკადემიური პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების (ტრენინგები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები) დოკუმენტაცია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას).

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სრულად საკმარისია, კერძოდ:

- უსდ-ს აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო საშუალებებით;
- დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამი კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით.
- უსდ-ში ფუნქციონირებს ახალი ბიბლიოთეკა, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზებით, საბიბლიოთეკო ფონდებთან მკითხველის თავისუფალი დაშვებით, საკონფერენციო ოთახით და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცით. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა. აგრეთვე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებით.
- დაწესებულება 2014 წლიდან მონაწილეობდა TEMPUS-ის საგრანტო პროექტში აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაწესებულებას გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა.
- დაწესებულებაში ფუნქციონირებს ტურიზმის ლაბორატორია, რომლის საქმიანობასაც წარმართავს ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი. ასევე, დანერგილია და ფუნქციონირებს ელექტრონული სასწავლო პროცესის მართვის სისტემა emisadmin.gtuni.ge, სადაც ხდება სასწავლო კურსების მიხედვით სასწავლო მასალების ატვირთვა, ყოველკვირეული დავალებების შესრულება და გასწორება.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღ-ვანელთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან; ○ დაწესებულების ინფრასტრუქტურა; ○ ვიზუალური დათვალიერება.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყო-ფისათვის დაწესებულების ბაზაზე ფუნქციონირებს „ტურიზმის ლაბორატორია”, რაც სტუდენ-ტებისთვის არის შესაძლებლობა წარმატებით განახორციელონ პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები/ღონისძიებები .
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ტურიზმის ინგლისურენოვანი პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტის პარამეტრები ნათლად აჩვენებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროებებს სრულფასოვნად. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია ჩინელ პარტნიორ და თანადამფუძნებელთან ერთად აქტიურ ღონისძიებებს ატარებს და გეგმავს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის განვითარებასა და მოდერნიზებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანე-ლთან, უნივერიტეტის ადმინისტრაციასთან, ჩინელ თანადამფუძნებელთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფა არის დაწესებულების მართვის განუყოფელი ნაწილი და ეხება დაწესებულების საქმიანობის ყველა სფეროს. ამავე დოკუმენტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფა. ამ პოლიტიკის რეალიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურების მეშვეობით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, „PDCA” პრინციპზე დაყრდნობით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა გულისხმობს: ○ ხარისხის პოლიტიკის, პროცედურების, ინსტრუქციების, წესების, დაგეგმვასთან დაკავშირებული პრაქტიკის, აქტივობების, კრიტერიუმების, ინსტრუმენტების, რეფლექციისა და ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებზე დაყრდნობითაც წარიმართება დაწესებულების საქმიანობა; ○ შიდა და გარე შეფასების, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების არსებობას, რომელთა მიზანია აჩვენოს როგორ ასრულებს დაწესებულება შესაბამის მოთხოვნებს (კონტროლი) და დაადგინოს განათლების ხარისხის სტანდარტებისადმი შესაბამისობა ხარისხის ინდიკატორების სისტემატური შეგროვებითა და ანალიზით (მონიტორინგი); ○ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სისტემატური შეფასებებით მიღებული შედეგების გამოყენებას. ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები დაკონკრეტებულია დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების სისტემა“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგ.: ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ობიექტები/სფეროები, ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმები, ხარისხის შიდა შეფასება, მისი ეტაპები, პერიოდულობა და

ინსტრუმენტები, გარე შეფასება და სხვ. მითითებული დოკუმენტის თანახმად, ხარისხის შიდა შეფასება ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით, წინასწარ დადგენილი შეფასების მექანიზმების, ინსტრუმენტების და შეფასების შედეგებზე რეაგირების პროცედურების გამოყენებით. ამ პროცესში ხარისხის უზრუნ-ველყოფის სამსახური თანამშრომლობს ყველა სტრუქტურულ ერთეულთან და უზრუნველყოფს უკუკავშირს დაინტერესებულ მხარეებთან. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების მექანიზმები და ძირითადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამებისადმი.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მიზნით შემუშავებულია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ და „საგანმა-ნათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესი“, რომელიც განსა-ზღვრავს პროგრამის შედგენის პრინციპებს და მოთხოვნებს პროგრამისადმი, პროგრამების შემუშავების პროცესში გამოსაყენებელ უნიფიცირებულს ფორმებს, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილე-ბების შეტანის და გაუქმების ეტაპებს, წესებს და სხვ. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის პრინციპი და საქმიანობის არეალი, პროგრამის სამუშაო ჯგუფის შემადგენ-ლობა, ფუნქციები და სხვ.

პროგრამის შემუშავება უზრუნველყო ამ მიზნით რექტორის ბრძანებით (თვითშეფასების ანგარიშის თანახმად: ბრძანება №01-01/38; 19.05.2022) შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: კანცლერის მრჩეველი, ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, ვიცე რექტორი სასწავლო მიმართულებით, სხვადასხვა სამსახურების (საერთაშორისო ურთიერთობების, ფინანსური, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭე-რის, ადამიანური რესურსების მართვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების) უფროსები, კვლევების ხელშეწყობის ცენტრის უფროსი, ბიბლიოთეკის მენეჯერი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებლები.

ექსპერტებთან შეხვედრებში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, რომ დასაწყისშივე მოხდა სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება, პერიოდული შეხვედრების ფორმატში მიმდინარეობდა შესრუ-ლებული და შესასრულებელი სამუშაოს განხილვა, პროგრამისთვის აქტუალური საკითხების შესწავლა, „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ დანართების (პროგრამის და სილაბუსების ფორმები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესა-ბამისობის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა) შევსება. ერთ-ერთ წარმოდგენილ დოკუმენტთან - „სწავლის შედეგების შეფასება (პირდაპირი მეთოდი)“ დაკავ-შირებით აღსანიშნავია შემდეგი: დოკუმენტი გარკვეულწილად საჭიროებს დახვეწას - პროგრამის ყველა შედეგთან შეფასების ინსტრუმენტებში მითითებულია „ლექცია; პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფში მუშაობა; დამოუკიდებელი მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სამუშაო; ლექცია-ვიზუალიზაცია; დისკუსია; გონებრივი იერიში; ქეის-მეთოდი“, რაც წარმოადგენს არა შეფასების, არამედ სწავლა-სწავლების მეთოდებს. შესაბამისი ცვლილებების გარეშე ეს დოკუმენტი ვერ უზრუნველყოფს იმ მიზანს, რა მიზნითაც არის შემუშავებული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, ხარვეზიანი დოკუმენტი შეცდომით იყო გამოგზავნილი. ზემოთ მითითებული და წინამდებარე დასკვნაში გამოკვეთილი სხვა გასაუმჯობესებელი ასპექტები/ხარვეზები მეტყველებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კონტროლისა და პროგრამის პერსონალთან კომუნიკაციის გაძლიერების საჭიროებაზე, რაც პროგრამის შეფასების ყველა ეტაპზე (შემუშავება, განხორციელება) უზრუნველყოფს შეუსაბამობების დროულად გამოვლენას და აღმოფხვრას.

სამუშაო ჯგუფის წევრების, პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების განმარტებით, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა წარმოადგენს მთლიანად პროგრამის გუნდის ერთიან ხედვას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა, ფაკულტეტის დეკანმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამას საფუძვლად დაედო დაწესე-ბულებაში უკვე მოქმედი ქართულენოვანი ანალოგი-პროგრამა და მისი განხორციელებით მიღებული გამოცდილება, მათ შორის სტუდენტების და კურსდამთავრებულების მოსაზრებები, კურსდამთავ-რებულთა დასაქმების მაჩვენებელი და სხვ. (სააკრედიტაციო განაცხადის თანდართული დოკუმენტების

სიმწირის გამო, დაწესებულებას ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, რაც მოხდა ვიზიტის დასრულებამდე), ამავდროულად სამუშაო პროცესში ყურადღება გამახვილდა პროგრამისთვის სხვა-დასხვა მნიშვნელოვან ასპექტზე (მათ შორის, შრომის ბაზრის ტენდენციები, საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების ანალოგი პროგრამები), გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შესწავლით მიღებული შედეგები (მაგ., უცხოური ენის ფლობის და პრაქტიკული უნარების გაძლიერების რეკომენდაციები, რაც ინტერვიუს დროს დაადასტურეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა), განხორციელდა პროგრამის შიდა შეფასება (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) და გარე შეფასება (დამსაქმებლებისა და გარე ექსპერტების - საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების წარმომადგენლების მიერ). შეჯამების სახით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები: • არსებობს ხარისხის მართვის მკაფიო სისტემა, რელევანტური შეფასების მეთოდები და მექანიზმები; • პროგრამა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, მათ შორის ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებისა და ურთიერთთანამშრომლობის გზით. • პროგრამა შეფასებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, თუმცა გამოიკვეთა შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კონტროლისა და პროგრამის პერსონალთან კომუნიკაციის გაძლიერების საჭიროება; • არსებობს პროგრამის განვითარების ხედვა; • პროგრამის შემუშავებისას შესწავლილია შრომის და განათლების ბაზრის ტენდენციები; • პროგრამის დადებითი გარე შეფასებით, მათ შორის პოტენციური დამსაქმებლების მიერ, დასტურდება პროგრამის აქტუალობა და შრომის ბაზარზე მისი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“; ○ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების სისტემა“; ○ „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია“; ○ „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესი“ ○ „საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინი“ (კურიკულუმის უნიფიცირებული ფორმა); ○ „სილაბუსის დიზაინი“ (სილაბუსის უნიფიცირებული ფორმა); ○ „კურიკულუმის რუკა“; ○ „მიზნებისა და შედეგების რუკა“; ○ „სწავლის შედეგების შეფასება (პირდაპირი მეთოდი)“ - სამიზნე ნიშნულები; ○ „ტურიზმის შრომის ბაზრის კვლევა“; ○ „ანალიზის დოკუმენტი (ბენჩმარკინგი)“; ○ გარე შემფასებლების დასკვნები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა - 2022; ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა ანალიზი - 2019-2021 (დამატებით წარმოდგენილი); ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები - 2019-2021 (დამატებით წარმოდგენილი); ○ გამოკითხვის ფორმები - სტუდენტები, კურსდამთავრებულები (დამატებით წარმოდგენილი); ○ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი - 2019-2021 (დამატებით წარმოდგენილი); ○ სტუდენტთა მიერ ონლაინ სწავლების შეფასება - 2019-2021 (დამატებით წარმოდგენილი); ○ სტუდენტური აქტივობები 2019-2022 (დამატებით წარმოდგენილი); ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ანალიზი და მონიტორინგის შედეგები - 2021 (დამატებით წარმოდგენილი); ○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში - 2013-2019 (დამატებით წარმოდგენილი); ○ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის შეფასება - 2020-2021 (დამატებით წარმოდგენილი); ○ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის და კარიერული მხარდაჭერის განყოფილების სამოქმედო გეგმა - 2021 (დამატებით წარმოდგენილი); ○ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანის ფორმა (დამატებით წარმოდგენილი); ○ ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსის მიერ შესრულებული სამუშაოს წლიური ანგარიში - 2021 (დამატებით წარმოდგენილი); ○ ინტერვიუს შედეგები; ○ ვებგვერდი http://www.gttu.edu.ge/ge/about-us/legal-directory/debulebebi-instruqtsiebi
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს კონტროლი პროგრამის შეფასების ყველა ეტაპზე (შემუშავება, განხორციელება) და მოახდინოს შემოწმების შედეგების ერთობლივად განხილვა პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, რაც უზრუნ-ველყოფს გასაუმჯობესებელი გარემოებების/ხარვეზების დროულად გამოვლენასა და აღმოფხვრას. ○ აუცილებელია დაკორექტირდეს დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასება (პირდაპირი მეთოდი)“ არსებული ხარვეზი - ნაცვლად პროგრამის ყველა შედეგთან შეფასების ინსტრუმენტებში მითი-თებული სწავლა-სწავლების მეთოდებისა მიეთითოს შეფასების ის მეთოდები/ინსტრუმენტები, რო-მებიც უზრუნველყოფენ ამ შედეგის მიღწევის დადასტურებას და გაზომვას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია და ამ ეტაპზე მისი გარე შეფასება განხორცი-ელდა საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ (მათი მოსაზრებები და დადებითი შეფასებები წარმოდგენილია ოფიციალური წერილების სახით). პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ასევე, გარე შეფასების მიზნით პროგრამა გადაეცა პოტენ-ციურ დამსაქმებლებს, მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები იყო შესწავლილი და გაზიარებული პროგრამის გუნდის მიერ, რაც დაადასტურეს ექსპერტებთან შეხვედრაში მონაწილე პოტენციურმა დამსაქმებლებმა. მათი აზრით, პროგრამა არის აქტუალური, პასუხობს დარგში არსებულ მოთხოვნებს და კურსდამთავრებულს აძლევს წარმატებული საქმიანობის შესაძლებლობას. დამსაქმებლების აზრით, პროგრამის ძლიერ მხარედ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ინტეგრირება საერთაშორისო გამოცდილებასთან, ეკონომიკურ ჭრილში პროგრამის დანახვა, გაძლიერებული ენობრივი და პრაქტიკული კომპონენტი, ტექნიკური უნარების ფლობა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტების (მაგ., ბუღალტერიის) ცოდნა და სხვ., რაც დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია და რაშიც ხშირ შემთხვევაში უწევს დამატებით დასაქმებულის დასწავლა და ამ მიზნით დამატებითი დანახარჯების გაწევა. ასევე, ინტერვიუს დროს პროგრამა დადებითად შეაფასეს ქართულენოვანი ანალოგი-პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავ-რებულებმა, რომლებმაც პროგრამაში პრაქტიკული და ენობრივი კომპონენტების გაძლიერება დადებით გარემოებად მიიჩნიეს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა დადებითად არის შეფასებული როგორც დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტების, ისე დაინტერესებული მხარეების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ პროგრამის კურიკულუმი, სასწავლო გეგმა, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; ○ გარე შემფასებლების დასკვნები (გამოხმაურებები); ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია. შესაბამისად, ობიექტური გარემოებების გამო, ვერ იქნებოდა გამოყენებული დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ყველა მექანიზმი. ქვემოთ მოცემულია იმ მექანიზმების აღწერა, რომლებიც დადგენილია დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით და იყო გამოყენებული დაწესებულებაში მოქმედი ქართულენოვანი ანალიგი-პროგრამის მიზნებისათვის. ამ მექანიზმების გამოყენება დასტურდება რიგ შემთხვევაში - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, რიგ შემთხვევაში კი - ინტერვიუს შედეგებით: ფაკულტეტის დეკანმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და პერსონალმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს როგორც დაწესებულებაში მოქმედ მიდგომებზე, ისე პროგრამის მხარდაჭერისა და განვითარების შესაძლებლობებზე. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა, განმახორციელებლებმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს შეფასებების სისტემატურობა და დაადასტურეს შეფასებებში (გამოკითხვებში) მონაწილეობა: • ინტერვიუს შედეგებისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს სამოქმედო გეგმით, შესრულებული სამუშაოს შედეგები კი აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესრულებული სამუშაოს წლიურ ანგარიშში; • ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაწილია სხვადასხვა სახის სისტემატური შეფასებები. შეფასების პროცესში გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. ასე, მაგ., დოკუმენტურად დასტურდება: სტუდენტთა გამოკითხვები და შედეგების ანალიზი, სტუდენტთა აქტივობების შესწავლა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ანალიზი და მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკაზე და დასაქმების დინამიკაზე დაკვირვება, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის შეფასება, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და პროგრამაში ცვლილებების განხორციელება და სხვ.; • დაწესებულებაში მოქმედი „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად, არსებობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - სწავლის შედეგების განსაზღვრულ დავალებაში/კომპონენტში მიღწევების დასადგენად და შესაფასებლად სამიზნე ნიშნულებად გამოყენებულია ე.წ. ნორმალური განაწილება (გაუსის განაწილება). პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განმარტებით, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში გამოიყენება პროგრამის ყოველწლიური შეფასება: პროგრამის სასწავლო კურსების დონეზე დაკვირვებას და შეფა-

სებას ექვემდებარება ამ კომპონენტების დაძლევა და დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება. სამიზნე ნიშნულების გადამოწმება ხდება წელიწადში 2-ჯერ - სემესტრის დასასრულს შეისწავლება ყველა გავლილი სასწავლო კურსის მაჩვენებლები, წელიწადში ერთხელ კი ჯამდება მთლიანდ პროგრამის შედეგები. განხორციელებული შეფასების შედეგები ექვემდებარება შესწავლას და ანალიზს, რის საფუძველზე შემუშავდება გასაუმჯობესებელ გარემოებებზე რეაგირების მექანიზმები და რეკომენდაციები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, მთლიანად პროგრამის შედეგების მიღწევის და დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება (საჭიროების შემთხვევაში - მათი კორექტირება) მოხდება პროგრამის განხორციელების მთლიანი ციკლის დასრულების შემდგომ.

დღეისათვის, დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციებით დადგენილ და პროგრამის შემუშავების ეტაპზე გამოყენებულ მექანიზმებს მიეკუთვნება: პროგრამის შემუშავება დადგენილი წესის შესაბამისად, დამოუკიდებელი სპეციალისტების მიერ პროგრამის გარე საექსპერტო შეფასება, დარგის ტენდენციების, პოტენციური დამსაქმებლების დამოკიდებულებებისა და არსებული გამოცდილების გაზიარების მიზნით ანალოგი-პროგრამების შესწავლა. ასე, მაგალითად, წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ტურიზმის მიმართულებით საქართველოში მოქმედი 27 საბაკალავრო პროგრამიდან დადარების მიზნით შერჩეულ იქნა 14 პროგრამა: გამოიკვეთა ძირითადი მიმართულებები, რომელზეც აგებულია შესაბამისი პროგრამების მიზნები და შედეგები, ასევე იდენტიფიცირებულ იქნა პროგრამისთვის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები, მაგ.: შეთავაზებული პრაქტიკის მრავალფეროვანი არჩევანი, დაწესებულების ბაზაზე არსებული ტურიზმის ლაბორატორიაში სიმულაციების სახით ტურიზმისა და სტუმარმასპინძ-ლობის ინდუსტრიის პრაქტიკული გამოცდილების დაეუფლება. ამავე დოკუმენტის თანახმად, დაწესებულების მიერ საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია ინტერნაციონალიზაციის მაგალითები, როდესაც პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები შემუშავებულია საერთაშორისო ექსპერტებისა და პროფესორების ჩართულობით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, თუმცა პროგ-რამის შემუშავების ეტაპზე ეს პრაქტიკა არ იყო გამოყენებული (დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ეს მოხდება მომავალში).

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანს წარმოადგენს საგანმანათ-ლებლო პროგრამების საერთაშორისო მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფა. საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის მიზნით დაწესებულების მიერ შერჩეულ იქნა: 1) ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის მენეჯმენტი (ტურიბას უნივერსიტეტი; რიგა, ლატვია), 2) საერთაშორისო სტუ-მარმასპინძლობა და ტურიზმის მენეჯმენტი (სურეის უნივერსიტეტი; გილდფორდი, დიდი ბრიტანეთი), 3) ტურიზმი, სასტუმრო მენეჯმენტი და ოპერაციები (მოდულის უნივერსიტეტი; ვენა, ავსტრია). პრო-გრამის ხელმძღვანელის განმარტებით, განხილულ იქნე გაცილებით მეტი პროგრამა, თუმცა არჩევანი გა-კეთდა მითითებულ პროგრამებზე, რადგან მათთან პროგრამის ხედვის (კონცეფციის) თანხვედრა უფრო მეტი იყო. გაკეთდა პროგრამების მიზნების, შედეგების და სტრუქტურების ანალიზი, იყო იდენტი-ფიცირებული საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც გამოყენებულია პროგრამისთვის მათ შორის: სწავლის პერიოდში სტუდენტები გაეცნობიან ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის კომპანიების რეალურ სამუ-შაო გარემოს, დაესწრებიან სასწავლო ვიზიტით ტურისტულ გამოფენას და ექნებათ ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის უახლესი ტენდენციების გაცნობის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომად-გენლებთან შეხვედრაში მონაწილე პირებმა, მათ შორის დაწესებულების დამფუძნებელმა (ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი), აღნიშნეს, რომ მომავალში იგეგმება პროგრამის ინტერ-ნაციონალიზაციის გაძლიერება, მათ შორის გაცვლითი პროგრამების, საერთაშორისო მივლინებების, საერთაშორისი პარტნიორ ორგანიზაციებში სტაჟირებების და უცხოელი ლექტორების ჩართულობის გზით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას და უცხოეთში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების სისტემა“;
- „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესი“
- „საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინი“ (კურიკულუმის უნიფიცირებული ფორმა);

- „სილაბუსის დიზაინი“ (სილაბუსის უნიფიცირებული ფორმა);
- „კურიკულუმის რუკა“;
- „მიზნებისა და შედეგების რუკა“;
- „სწავლის შედეგების შეფასება (პირდაპირი მეთოდი)“ - სამიზნე ნიშნულები;
- „ტურიზმის შრომის ბაზრის კვლევა“;
- „ანალიზის დოკუმენტი (ბენჩმარკინგი)“;
- გარე შემფასებლების დასკვნები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა - 2022;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა ანალიზი - 2019-2021 (დამატებით წარმოდგენილი);
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები - 2019-2021 (დამატებით წარმოდგენილი);
- გამოკითხვის ფორმები - სტუდენტები, კურსდამთავრებულები (დამატებით წარმოდგენილი);
- სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი - 2019-2021 (დამატებით წარმოდგენილი);
- სტუდენტთა მიერ ონლაინ სწავლების შეფასება - 2019-2021 (დამატებით წარმოდგენილი);
- სტუდენტური აქტივობები 2019-2022 (დამატებით წარმოდგენილი);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ანალიზი და მონიტორინგის შედეგები - 2021 (დამატებით წარმოდგენილი);
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და პროგრამაში განხორციელე-ბული ცვლილებების ანგარიში - 2013-2019 (დამატებით წარმოდგენილი);
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის შეფასება - 2020-2021 (დამატებით წარმოდგენილი);
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის და კარიერული მხარდაჭერის გან-ყოფილების სამოქმედო გეგმა - 2021 (დამატებით წარმოდგენილი);
- საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანის ფორმა (დამატებით წარმოდგენილი);
- ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ შესრულებული სამუშაოს წლიური ანგარიში - 2021 (დამატებით წარმოდგენილი);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია დაწესებულებამ დროულად განახორციელოს საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეული მექანიზმის დანერგვა - საერთაშორისო ექსპერტებისა და პროფესორების ჩართულობით პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებას და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„ტურიზმი"; ბაკალავრიატი.

დასკვნის პროექტის გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკა დევიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ვალერი არღუთაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა შალვა მესხი